დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

ნათია ქოქუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
რუსუდან არზიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო გულმაგარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
მარიკა ბოცვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მარინე მორჩილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
მარი ფალელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
შორენა ნიკოლეიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ვლადიმერ უშიკიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან მეგრელიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053680

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხულოს მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khuagara@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577559433 / 555326596

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 9 ივნისის MES 643143 ბრძანება და ამ

	ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 4 ივლისის MES 817359 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 ივლისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელ აგარის საჯარო სკოლა (1 ოთხსართულიანი შენობა გვერდიდან მიშენებული სპორტული დარბაზით)

2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელ აგარის საჯარო სკოლა (1 ოთხსართულიანი შენობა გვერდიდან მიშენებული სპორტული დარბაზით)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელ აგარის საჯარო სკოლა (1 ოთხსართულიანი შენობა გვერდიდან მიშენებული სპორტული დარბაზით)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განხილულ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის განრიგის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა, დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური

რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციას, მასწავლებლებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 06.10.2025-მდე, ცეცხლფარეშისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა, განსაზღვროს სხვა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და	სკოლა მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 31.10.2025-მდე, ა) საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ბ) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოსგან ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ წერილობითი დასკვნა/ დასტური. გ) მანდატურის სამსახურმა გადაამზადოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხობაზე პასუხისმგებელი პირი.

	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი №3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლა მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 31.10.2025-მდე, მანდატურის სამსახურს გადაამზადებინოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
ინდიკატორი №3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.12.2025-მდე, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი დაამუშაოს საბიბლიოთეკო პრინციპით; შექმნას საინვენტარო წიგნი.
ინდიკატორი №3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2027-მდე, სკოლაში შესასვლელი პანდუსი მოაწყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობის სართულებს შორის გადაადგილება შშმ პირთათვის.
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ: **ა) მათემატიკაში** კათედრის მიერ წარმოდგენილი I-IV კლასების კურიკულუმები უზრუნველყოფდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ბ) საზოგადოებრივი მეცნიერებებში** წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმები. **გ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში** დაწყებით საფეხურზე წარმოადგინოს ყველა თემა, რადგან წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ: **ა) მათემატიკაში** I-IV კლასების კურიკულუმები მიემართებოდეს ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს. **ბ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში** წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები; **გ)** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაწყებით საფეხურზე წარმოადგინოს ყველა თემა, რადგან წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას.

ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ: **საზოგადოებრივ მეცნიერებებში** დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ გადამოგზავნილ მხოლოდ ერთ IV კლასის განმავითარებელი შეფასების დოკუმენტში სამიზნე ცნებების, მკვიდრი წამოდგენების მიხედვით გაწერილია შედეგები. თუმცა, როდესაც სკოლას არა აქვს კურიკულუმები და მხოლოდ ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა აქვს გადმოგზავნილი, ამიტომ, რთულია იმის მტკიცება დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
ინდიკატორი №2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები
ინდიკატორი №2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.09.2025-მდე, გაწეროს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი.
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2026-მდე, დაწყებით საფეხურზე აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: კომპიუტერული ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ: **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში წარმოადგინოს ყველა თემა, რადგან წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. **ბ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში** წარდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ: **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში წარმოდგინოს ყველა თემა, რადგან წარმოდგენილ მხოლოდ ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს; **ბ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში** წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, რადგან ირღვევა ეროვნული გეგმის პრინციპზე დაფუძნებული დაგეგმვის საფუძველი. **გ)** წარმოადგინოს **X კლასის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში,** რათა შესაძლებელი გახდეს გრძელვადიანი მიზნების დადგენა.

ინდიკატორი №2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ: **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის** კურიკულუმებში აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემატური ერთეულები. **ბ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში** წარდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. **გ) პროექტული სწავლების ფარგლებში,** წარმოადგინოს **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები**, რათა სწავლის პროცესის დაგეგმვა ამ კლასებისთვის სრულყოფილად განხორციელდეს.
ინდიკატორი №2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.09.2025-მდე, გაწეროს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი.
ინდიკატორი №2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 25.08.2026-მდე, **საბუნებისმეტყველო საგნების** სრულფასოვანი სწავლებისა და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მოაწყოს კაბინეტი სველი წერტილით, გამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდით, შეიძინოს ხელსაწყოები, მულაჟები, ლაბორატორიული ჭურჭელი, რეაქტივები, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2026-მდე, საბაზო საფეხურზე აიყვანოს

	განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, წარმოადგინოს **X და XI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის** კურიკულუმები.
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, წარმოადგინოს **X და XI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები,** რათა დადგინდეს გრძელვადიანი მიზნები.
ინდიკატორი №2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, წარმოადგინოს **X და XI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები,** რათა დადგინდეს შესაბამისობა კურიკულუმებსა და სასწავლო პროცესს შორის.
ინდიკატორი №2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.09.2025-მდე, გაწეროს **დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის** წესი.
ინდიკატორი №2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 25.08.2026-მდე, **საბუნებისმეტყველო საგნების** სრულფასოვანი სწავლებისა და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მოაწყოს კაბინეტი სველი წერტილით, გამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდით, შეიძინოს ხელსაწყოები, მულაჟები,

		ლაბორატორიული ჭურჭელი, რეაქტივები, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2026-მდე, საშუალო საფეხურზე აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

V. რჩევა

გთხო

ვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი №1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	მნიშვნელოვანია, სკოლამ შემუშავებული რეგულაციის მიხედვით აღწეროს პროცესები დოკუმენტურად, მაგალითად: უნდა არსებობდეს ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
ინდიკატორი №1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	დოკუმენტი უნდა მოერგოს სკოლის სპეციფიკას, კერძოდ, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ ის სტრუქტურული ერთეულები და პირები, რომლებიც სკოლას ჰყავს.

სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი №3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტში საჭიროებს ცვლილებას, კერძოდ: შესაცვლელია: ა)დოკუმენტის სახელწოდება; ბ) ბუღალტერი წარმოადგენს დირექციას და არა ადმინისტრაციას; გ) გასაწერია დარაჯის ფუნქციები. დ) დოკუმენტიდან ამოსაღებია დირექტორის მოადგილე და ფინანსური მენეჯერი, რადგან სკოლას ეს პოზიციები არ აქვს
ინდიკატორი №3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია, განახლდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არა 2015 წლის 18 სექტემბრის 126/ნ ბრძანება რომელიც აღარაა მოქმედი, არამედ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ	სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დერეფნებში ვიდეოთვალი დამონტაჟდეს იმგვარად, რომ სრულად აკონტროლებდეს დერეფნის ყველა ადგილს.

	ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი №3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლამ სამედიცინო კაბინეტისათვის შეიძინოს შირმა
ინდიკატორი №3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უნდა განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი №4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ ერთ-ერთ საკლასო ოთახში უნდა მოაწყოს რესურსოთახი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ***დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების*** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.1.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენაში** სასურველია, სკოლამ სამივე საფეხურზე დაადგინოს და შეისწავლოს მოსწავლეთა საჭიროებები, მათი მზაობა, ინტერესები და ამის შემდეგ, სწორედ ამ შედეგების მიხედვით დაგეგმოს ახალი კურიკულუმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ეს დეტალი.
ინდიკატორი N.2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	**ბუნებისმეტყველებაში** სასურველია, დაწყებითი კლასების კურიკულუმებს დაამატონ მეტი ისეთი შემოქმედებითი დავალება და რესურსი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს სიღრმისეულად გააანალიზონ საგნობრივი საკითხები, მიიღონ

		ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილების გზით; დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გრაფაში დატოვონ ის დავალებები, რომლის განხორციელებასაც გეგმავენ;
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**მათემატიკაში** სასურველია, სამომავლოდ დაწყებითების კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიან ფორმაზე და მასში შეიტანოს ყველა აუცილებელი და საჭირო კომპონენტი, დააზუსტოს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, ასევე, აქცენტი გააკეთოს ელექტრონული რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე. ამასთანავე, კურიკულუმის შესაბამის სვეტში სწორად აისახოს სასწავლო ერთეულის (თემა, ცნება, საკითხი, დავალების იდეა და სხვა) აღწერილობა. **საინფორმაციო ტექნოლოგიებში** სასურველია, სკოლამ დაწყებით საფეხურზე ტექნოლოგიებში, გაითვალისწინოს რეკომენდაცია და კურიკულუმის ჩარჩოები დატოვოს იმ სახით, სადაც გამოკვეთილი იქნება მიმართულება, ცნება/ქვეცნება, თემა/საკითხები, დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი და ბოლოს გრაფა სადაც ჩაამატებს რესურსებს, მათ შორის ზემოთ ნახსენებ school.emis.ge-საც და ასევე დაამატებს საკითხებს, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და ქვეცნებების სრულყოფილად დაფარვას. **დაწყებით საფეხურზე** სასურველია, კურიკულუმის უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბების მიზნით კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინის ერთიან ფორმაზე. თითოეული საგნის კურიკულუმში დაზუსტდეს სასწავლო ერთეულების (თემა, ცნება/ქვეცნება, საკითხი/ქვესაკითხი,

		დავალების იდეა (კომპლექსური დავალება თუ სხვა შემოქმედებითი პროდუქტი,) კონტექსტ-მაგალითები და რესურსები) შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. **სპორტში საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სამომავლოდ, სასურველი იქნება მეტი თემა იყოს ინდივიდუალური სპორტის სახეობის მიმართულებითაც. სასურველია კურიკულუმში გრაფები გაწერილი იყოს თანმიმდევრობით.
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკა:** მაღალი სააზროვნო, ასევე სხვადასხვა ფუნქციური უნარების გასავითარებლად, საასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე განახორციელოს პროექტები. **დაწყებითი კათედრა:** სასურველია, შემდგომში საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობისას რესურსების ველში აისახოს ყველა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კონკრეტული თემის ფარგლებში საკითხებთან, დავალებების იდეასთან და სასწავლო შედეგებთან. **ბუნებისმეტყველება:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულებში I- VI ჩათვლით, მეტი ყურდღება მიექცეს, იფარება თუ არა ყველა სამიზნე ცნება; ასევე კურიკულუმით შემოთავაზებული შუალედური მიზანისა თუ კომპლექსური დავალების პირობა მკაფიოდ ითვალისწინებს თუ არა გრძელვადიანი მიზნებს.
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით	**დაწყებითი საფეხური:** სასურველია, შემდგომში საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობისას რესურსების ველში აისახოს ყველა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კონკრეტული თემის ფარგლებში საკითხებთან, დავალებების იდეასთან და სასწავლო შედეგებთან. **უცხო ენები:** უმჯობესია, სამივე საფეხურზე, რესურსები იყოს მრავალფეროვანი და შეესაბამებოდეს დიფერენცირებულ მიდგომებს;

	გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მათემატიკა:** დაწყებითი კლასების/საფეხურის კურიკულუმებზე მუშაობისას, სასურველია პედაგოგებმა შესაბამის ველში ასახონ ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც აუცილებელია მოსწავლეზე ორიენტირენული სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის.
ინდიკატორი N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**დაწყებითი საფეხური:** სასურველია, სასწავლო პროცესში მეტად დაინერგოს დიფერენცირებული მიდგომები. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის, აქტივობების ადაპტირება მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. **კომპიუტერული ტექნოლოგიები:** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, თუნდაც იმ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის მითითება, იგულისხმება https://school.emis.ge/ რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ესთეტიკური აღზრდა:** მიზანშეწონილია, კურიკულუმში ზოგად დონეზე მაინც აისახოს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. ეს გაზრდის დოკუმენტის შესაბამისობას ეროვნული გეგმის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს წინასწარ მზაობას სხვა საჭიროებების შემთხვევაში. **მათემატიკა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	**მათემატიკა:** სასურველია კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შექმნას სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჩართულობით.(წყვილებში მუშაობის, პრეზენტაციის, დამოუკიდებელი მუშაობის და სხვა). შექმნას სასწავლო პროვესში განხორციელებული შემოქმედებითი

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, მეტი ინტენსივობით გამოიყენოს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, მიემართება, შეფასება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე სკოლამ აქტური მუშაობა უნდა გააგრძელოს. **სპორტი:** საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს კურიკულუმში გაწერილი თითოეული თემიდან გამომდინარე.
ინდიკატორი N.2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა:** მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, სასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე განახორციელოს სხვადასხავა პროექტი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სამივე საფეხურზე, სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ 2025-2026 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით:

		სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სკოლის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის პედაგოგეგმა გაიარონ შესაბამისი ტრენინგები, რომ შეძლონ კურიკულუმის ფორმის და შინაარსის თვალსაზრისით უკეთ ჩამოყალიბება. გაეცნონ სიახლეებს, რომელიც ამ მიმართულებით ხორციელდება და მუდმივად ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებზე.
ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, შეფასების კრიტერიუმები მეტად აისახოს კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებაში, განსაკუთრებით შემოქმედებით დავალებებში. ასევე მიზანშეწონილია, სისტემაში გაძლიერდეს ინდივიდუალური პროგრესის დაფიქსირების კომპონენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების სანდოობასა და სამართლიანობას. **დაწყებითი საფეხური:** შეფასების სისტემის სტანდარტიზებისა და სრულყოფისათვის სასურველია, მასწავლებლებმა გაიარონ შესაბამისი მომზადების კურსი/ტრენინგი. სასწავლო პროცესი დინამიური გახდება, თუ მასწავლებლები აქტიურად გამოიყენებენ

		მრავალფეროვან განმავითრებელ ინსტრუმენტებს. (მაგ: ქვიზი, მოსწავლეთა სწავლის მონიტორინგისა და მათთვის განმვითარებელი უკუკავშირის მიწოდების მიზნით; დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე; შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები (ბარათები); ხელის ნიშნები და სხვა).
ინდიკატორი N.2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია, სკოლამ, ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ ინსტუმენტები/მექანიზმები, რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი N.2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**მათემატიკაში** დაწყებით კლასებში/საფეხურზე მეტი სიხშირით გამოიყენონ ელექტრონული რესურსები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სახელმძღვანელოს რესურს დაემატოს სხვა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებიც, რომელსაც გამოიყენებს პედაგოგი სასწავლო პროცესში. სამივე საფეხურზე დაამატონ მრავალფეროვანი ინტერნეტრესურსი, რომელიც მიზნობრივს და საინტერესოს გახდის მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს და უზრუნველყოფს შესაბამისი საგნით დაინტერესებას. ასევე უზრუნველყონ მარტივი საშინაო ექსპერიმენტების განხორციელება;
ინდიკატორი N.2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**მათემატიკაში** სასურველია, სკოლამ/კათედრამ სამივე საფეხურისათვის შექმნას დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **დაწყებითი საფეხურზე** სკოლამ, კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი/ მექანიზმი.

		სახელმწიფო ენაში სასურველია, სკოლამ სამივე საფეხურისთვის შეიმუშაოს, წესი დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდირების მიზნით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, ცეცხლფარეშისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა, სკოლას დადგენილი არ ჰქონდა სხვა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნა, რომ 06.10.2025-მდე განსაზღვრავს სხვა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამდენად ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი №3.1.2.4. ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად** და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში განსაზღვროს ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, ვერ წარმოადგინა: ა) საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური; გ) მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხობაზე პასუხისმგებელ პირზე. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 31.10.2025. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი №3.4.1.1. და ინდიკატორი № 3.4.1.3. ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად** და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ა) საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ბ) მოიპოვოს უფლებამოსილი

ორგანოსგან ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ წერილობითი დასკვნა/ დასტური.

გ) მანდატურის სამსახურმა გადაამზადოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხობაზე პასუხისმგებელი პირი.

3. ვიზიტის დროს სკოლის ბიბლიოთეკაში არ არსებობდა საინვენტარო წიგნი. წიგნების გარკვეული ნაწილი დამუშავებული არ იყო საბიბლიოთეკო პრინციპით. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 01.12.2025. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი №3.5.1.3. ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად** და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი დაამუშაოს საბიბლიოთეკო პრინციპით; შექმნას საინვენტარო წიგნი.

4. სკოლის შენობის შესასვლელში არსებული პანდუსი ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, ასევე პირველი სართულიდან სხვა სართულებზე ასასვლელად არ იყო დამონაჟებული პანდუსები. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 01.08.2027 . ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი №3.5.1.4. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლაში შესასვლელი პანდუსი მოეწყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ასევე სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობის სართულებს შორის გადაადგილება შშმ პირთათვის.

5. ვიზიტის დროს დაადგინეს, რომ **დაწყებით საფეხურზე**

ა) **მათემატიკაში** წარმოდგენილი I-IV კლასების კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ბ) **საზოგადოებრივი მეცნიერებებში** სკოლას არ წარმოუდგენია დაწყებითი საფეხურის „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმები.

გ) **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი თემა, რაც ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა **08.09.2025 ვადა. ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.1.2.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მისცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

6. ვიზიტის დროს დაადგინეს, რომ **დაწყებით საფეხურზე**

ა) **მათემატიკაში** I-IV კლასების კურიკულუმები არ მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.

ბ) **საზოგადოებრივი მეცნიერებებში** სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმები;

გ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი იყო ორი თემა, რაც ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა **08.09.2025 ვადა. ამდენად, საგნობრივი ჯგუფი ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.1.2.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია** და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

7. ვიზიტის დროს დაადგინეს, რომ **დაწყებით საფეხურზე**

საზოგადოებრივი მეცნიერებებში სკოლის მიერ გადამოგზავნილია მხოლოდ ერთი IV კლასის განმავითარებელი შეფასების დოკუმენტი, რომელშიც სამიზნე ცნებების, მკვიდრი წამოდგენების მიხედვით გაწერილი აქვთ შედეგები. თუმცა, როდესაც სკოლას არა აქვს კურიკულუმები და მხოლოდ ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა აქვს გადმოგზავნილი, ამიტომ, რთულია იმის მტკიცება, დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა **08.09.2025 ვადა. ამდენად, საგნობრივი ჯგუფი ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.1.2.5. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მისცეს რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

8. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **დაწყებით საფეხურზე**

სკოლას არ ჰქონდა **აზოგადოებრივ მეცნიერებებში** კურიკულუმები;

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა **08.09.2025 ვადა. ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია, რომ** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

9. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **დაწყებით საფეხურზე** სკოლას არ აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი/მექანიზმი.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 05.09.2025 პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.2.2.2. მეტწილად**

დაკმაყოფილებულია და სკოლას მისცეს რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში გაწეროს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი.

10. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **დაწყებით საფეხურზე** სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: კომპიუტერული ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 01.08.2026-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია** და სკოლას მისცეს რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: კომპიუტერული ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

11. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საბაზო საფეხურზე**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების IX კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში წარდგენილი კურიკულუმი არ შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 08.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.1.2.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები

12.ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საბაზო საფეხურზე**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს, ხოლო IX კლასში წარმოდგენილი კურიკულუმი სხვა სახელმძღვანელოს ეყრდნობა, ვიდრე ის, რომელსაც სკოლა რეალურად იყენებს. ეს არღვევს ეროვნული გეგმის პრინციპზე დაფუძნებული დაგეგმვის საფუძველს.

X კლასის შემთხვევაში კი, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც გრძელვადიანი მიზნების მიმართების სრულ არქონაზე მიუთითებს.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 08.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.1.2.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

13. ვიზიტის დროს დადგინდა, **რომ საბაზო საფეხურზე**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმებში არ აისახება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემატური ერთეულები. IX კლასის კურიკულუმი არ შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს. X კლასში პროექტული სწავლების ფარგლებში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რის გამოც სწავლის პროცესის დაგეგმვა ამ კლასებისთვის სრულად ვერ ხორციელდება.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 08.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

14. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საბაზო საფეხურზე** სკოლას არ აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი/მექანიზმი.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 05.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.2.2.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია** და სკოლას მისცეს რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში გაწეროს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი.

15. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორია**, გაკვეთილები ტარდება ჩვეულებრივ საკლასო ოთახში, სადაც არ არის სველი წერტილი: არც ნიჟარა და არც წყალი მიეწოდება, ლაბორატორიის გამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდა, ხელსაწყოები, მულაჟები, აქვს საკმაოდ მწირი ლაბორატორიული ჭურჭელი, არა აქვს რეაქტივები, ყოველივე ამის გამო მოსწავლეს არ აქვს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 25.08.2026-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.2.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საბუნებისმეტყველო საგნების სრულფასოვანი სწავლებისა და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მოაწყოს კაბინეტი სველი წერტილით, გამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდით, შეიძინოს ხელსაწყოები, მულაჟები, ლაბორატორიული ჭურჭელი, რეაქტივები, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.

16. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საბაზო საფეხურზე** სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 01.08.2026-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

17. ვიზიტის დროს დადგინდა, **საშუალო საფეხურზე,** X და XI კლასების შემთხვევაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 08.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.1.2.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

18. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საშუალო საფეხურზე,** X და XI კლასების შემთხვევაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც გრძელვადიანი მიზნების მიმართების სრულ არქონაზე მიუთითებს.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 08.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.1.2.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

19. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საშუალო საფეხურზე,** X და XI კლასების შემთხვევაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, რთულია შესაბამისობის დადგენა კურიკულუმებსა და სასწავლო პროცესს შორის;

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 08.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია** და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები.

20. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ **საშუალო საფეხურზე** სკოლას არ აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი/მექანიზმი.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 05.09.2025-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.2.2.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია** და სკოლას მისცეს რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში გაწეროს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი.

21.ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,** გაკვეთილები ტარდება ჩვეულებრივ საკლასო ოთახში, სადაც არ არის სველი წერტილი: არც ნიჟარა და არც წყალი მიეწოდება, ლაბორატორიის გამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდა, ხელსაწყოები, მულაჟები, აქვს საკმაოდ მწირი ლაბორატორიული ჭურჭელი, არა აქვს რეაქტივები, ყოველივე ამის გამო მოსწავლეს არ აქვს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 25.08.2026-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.2.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საბუნებისმეტყველო საგნების სრულფასოვანი სწავლებისა და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მოაწყოს კაბინეტი სველი წერტილით, გამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდით, შეიძინოს ხელსაწყოები, მულაჟები, ლაბორატორიული ჭურჭელი, რეაქტივები, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.

22. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ საშუალო **საფეხურზე** სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრა 01.08.2026-მდე პერიოდი. **ამდენად, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია და** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია:

ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

სკოლის ხედვაა:

უახლოესი ათწლეულების განმავლობაში სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს შრომის ბაზარზეც, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

სკოლის ღირებულებებია: თანამშრომლობა; გუნდურობა; გამჭირვალობა; დემოკრატია; ობიექტურობა; განვითარება და ინოვაციურობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიასა და ხედვაში ჩანს სკოლის როლი სასკოლო საზოგადობის უსფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნაში; სკოლა იქნება თანამშრომლობითი სასკოლო კულტურის მატარებელი, დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის ცენტრალური ფასეულობა იქნება მოსწავლე. ამასთან, სკოლა იზრუნებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ამას მოწმობს ინტერვიუები სკოლის დირექტორთან და თანამშრომლებთან, სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლამ გაიარა მეთოდოლოგიით განსაზღვრული ეტაპების ნაწილი, კერძოდ: დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი; გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება; შედეგების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებები პროექტი, მიიღო მათგან უკუკავშირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლამ შემუშავებული რეგულაციის მიხედვით აღწეროს პროცესები დოკუმენტურად, მაგალითად: უნდა არსებობდეს ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სამუშაო ჯგუფის შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებები პროექტი განიხილა და მოიწონა სკოლის სამეურვეო საბჭომ და დასამტკიცებლად წარუდგინა პედსაბჭოს. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები დამრიგებლებმა გააცნეს სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებს. დამრიგებლებმა ასევე ჩაატარეს სადამრიგებლო კლასებში მშობელთა კრებები, რომლებზეც მშობლებს გააცნეს სკოლის მისია და ხედვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია და ხედვა ყველასათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია პლაკატის სახით ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას-სკოლის დერეფანში. სკოლის მისია და ხედვა ატვირთულია ასევე სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ
- თანამშრომელთა საერთო კრების ოქმი
- საკლასო კრებების ოქმები
- მშობელთა კრებების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლაში შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია დაგეგვასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, დაგეგმვის პროცესის ფაზები, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევებისა და გარემოს ანალიზს, ასევე შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: დოკუმენტი უნდა მოერგოს სკოლის სპეციფიკას, კერძოდ, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ ის სტრუქტურული ერთეულები და პირები, რომლებიც სკოლას ჰყავს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლაში შემუშავებულია, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ მიერ 2024 წლის 10 სექტემბრის N01-03/17 ბრძანებით სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები), რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას.

გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და წლების მიხედვით გაწერილ მიზნების შესაბამის ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7 სტრატეგიულ მიმართულებას:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი 2024-2025 სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიული გეგმის შესაბამისადაა შედგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2024-2025 წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, ჩანს სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები და ამ ამოცანების შესასრულებლად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვე საბჭოს ოქმი სტრატეგიული განვითარების გეგმის შეთანხმებაზე
- დირექტორის ბრძანება შვიდწლიანი გეგმის დამტკიცებაზე
- ერთწლიანი გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას ეძღვნება, კერძოდ, მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორცილების შუაში და ბოლოს. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. ამავე დროს სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 სექტემბრის N01-03/17 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის დირექციის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია დირექტორის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, ექთნის, დამლაგებელის, ცეცხლფარეშის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები.

საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლას ჰყავს დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, 16 საგნის მასწავლებელი, ექთანი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, 2 დარაჯი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტში საჭიროებს ცვლილებას, კერძოდ: შესაცვლელია:

ა)დოკუმენტის სახელწოდება

ბ) ბუღალტერი წარმოადგენს დირექციას და არა ადმინისტრაციას

გ) გასაწერია დარაჯის ფუნქციები.

დ) დოკუმენტიდან ამოსაღებია დირექტორის მოადგილე და ფინანსური მენეჯერი, რადგან სკოლას ეს პოზიციები არ აქვს

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები: დირექცია (დირექტორი და ბუღალტერი), პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები და სხვა სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სკოლის დირექციის დებულების შესახებ

სკოლის საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლას დირექტორის დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 სექტემბრის N 01-03/4 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსის შერჩევა-დასაქმებისა და გათავისუფლების საკითხებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თანამშრომლის შეფასება.

   რჩევა: სასურველია, განახლდეს დოკუმენტი და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არა 2015 წლის 18 სექტემბრის 126/ნ ბრძანება რომელიც აღარაა მოქმედი, არამედ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სკოლაში მოქმედებს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის წესი. შემუშავებულ დოკუმენტში გაწერილია მექანიზმი, თუ როგორ მოქმედებს სკოლა გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში. დოკუმენტის მიხედვით, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში

სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს დირექტორი აღნიშნულის შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდისა და შესაბამისი მიზეზის შესახებ.

გადაუდებელი აუცილებლობისას (ჯანმრთელობის მდგომარეობის/ოჯახური პირობების/სხვა ობიექტური გარემოებების გამო) სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია შესაძლებლობისთანავე აცნობოს დირექტორს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების მიზეზი და პერიოდი.

სკოლაში მასწავლებლის ან სხვა თანამშრომლის მიერ თავისი მოვალეობის ვერშესრულების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლების საკითხი რეგულირდება წინამდებარე წესით: როგორც კი გაჩნდება მასწავლებლის ჩანაცვლების საჭიროების საკითხი, დირექტორის მოადგილის დავალებით გაკვეთილს ატარებს, პირველ რიგში, შესაბამისი საგნის მასწავლებელი, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს თავისუფალი დრო, ან შესაბამისი კლასის დამრიგებელი. სხვა შემთხვევაში კი, ნებისმიერი სხვა საგნის მასწავლებელი, რომელსაც ამ დროს არ აქვს გაკვეთილი. შესაძლებელია იმდღევანდელი საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ყველა პერსონალს ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[1]-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, <u>ვიზიტის დროს სხვა თანამშრომელთა შერჩევისას სკოლას დადგენილი არ ჰქონდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცეცხლფარეშისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა.</u>

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 06.10.2025-მდე, ცეცხლფარეშისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა, განსაზღვროს სხვა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.</u>

სკოლაში მუშაობს 16 საგნის მასწავლებელი. მათგან ერთი მენტორი მასწავლებელი, სამი წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები. ვიზიტის დროს **გარკვეული საგნების მიმართულებით სკოლას არ ჰყავდა კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, კერძოდ: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე - სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში და დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.**

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2026-მდე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი შემდეგ საგნებში: სახვით და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკაში და დაწყებით საფეხურზე- კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.</u>

სკოლას აყვანილი ჰყავს ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართი 1.2.-ის თანახმად, თუ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 50-100 ფარგლებშია, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩანაცვლდეს ექთნით. ამავე ბრძანების მიხედვით, ექთანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული ან უმაღლესი განათლება. ამდენად, სკოლის სამედიცინო პერსონალი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა წლების განმავლობაში ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის მასალები, თუმცა, კადრის არარსებობის გამო, სკოლას საშტატო განრიგით დაუმტკიცდა 1 ექთნის შტატი. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. მეათე მუხლში აღნიშნულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, კერძოდ:

1. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული

სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

2. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.
3. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება სკოლის დირექციის დებულების შესახებ
- დირექტორის ბრძანება სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის წესის შესახებ
- სკოლის შინაგანაწესი
- დირექტორის ბრძანება თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას ახორციელებს სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც სკოლის გადაწყვეტილებით არსებობს სკოლაში, მასში შედიან: სკოლის დირექტორი და ყველა კათედრის მასწავლებლები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლში აღნიშნულია, რომ პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-18 მუხლში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცის წესი. დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლის მიღებისა და ადაპტაციის ეტაპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ დირექტორის ბრძანება

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშავებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის II თავი ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის წესს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისაგან:

ა) სასწავლო პროცესთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;

ბ) პროცესებების/კურიკულუმების შემოწმების შედეგების სამოქმედო გეგმის შედგენა;

გ) შემოწმების განხორციელება;

დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;

ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. მმართველობითს მიეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადს: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაცია სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლობის უფლება, განხილვის ვადებია, საჩივრის ტიპები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, ,,საჩივრის განხილვის პროცედურა“, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის ბაზაზე საჩივრის განხივლის განხილვის მექანიზმი“
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლა გარე კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელს. დახურული მესენჯერ ჯგუფები მშობლებთან, ელექტრონული ჟურნალი, შეხვედრები მშობლებთან-აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირს. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე საკუთარი გვერდით და სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლებლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით. შემოსული შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. ყველა ორგანო და რგოლი მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში საქმიანობს, ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, იღებს გადაწყვეტილებებს. ამდენად, უზრუნველყოფილია მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სკოლის დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით, ფიზიკური უსაფრთხოებისათვის სკოლაში გამოყოფილია“ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქციებიც გაწერილია. გარე პერიმეტრი აღჭურვილია 3 ვიდეოსათვალთვალო სისტემით, ყველა სართულზე ვიდეოთვალია, კონტროლდება დერეფნები.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

სკოლას საგანგებო სიტუაციების სამსახურთან გაგზავნილი აქვს წერილი 2025 წლის 7 აპრილს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე და ელოდება პასუხს.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.

სკოლამ 2025 წლის 28 მაისს გააგზავნა წერილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში სკოლის შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნის მისაღებად.

რაც შეეხება **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ,** სკოლის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე ყველა სართულზე. ამასთან, სკოლას 2025 წლის 24 მარტს გაგზავნილი აქვს წერილი სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით.

სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხობაზე პასუხისმგებელი პირი, **თუმცა იგი არ არის გადამზადებული მანდატურის სამსახურის მიერ, რაც არ დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.**

სკოლა მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 31.10.2025-მდე,

ა) საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

ბ) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოსგან ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ წერილობითი დასკვნა/ დასტური.

გ) მანდატურის სამსახურმა გადაამზადოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხობაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დერეფნებში ვიდეოთვალი დამონტაჟდეს იმგვარად, რომ სრულად აკონტროლებდეს დერეფნის ყველა ადგილს.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლაში ნულოვან სართულზე არის სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტში განთავსებულია სველი წერტილი, ტახტი, საკეტიანი კარადა წამლებით, მაცივარი, აღჭურვილია ყველა ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით. როგორც აღვნიშნეთ, სკოლას აყვანილი ჰყავს ექთანი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება. აღნიშნული ბრძანების დანართი 1.2.-ის თანახმად, თუ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 50-100 ფარგლებშია, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩანაცვლდეს ექთნით. ამდენად, სკოლის სამედიცინო პერსონალი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა წლების განმავლობაში ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის მასალები, თუმცა, კადრის არარსებობის გამო, სკოლას საშტატო განრიგით დაუმტკიცდა 1 ექთნის შტატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ სამედიცინო კაბინეტისათვის შეიძინოს შირმა

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა იგი არ არის გადამზადებული მანდატურის სამსახურის მიერ. სკოლაში გაკეთებულია თანამშრომელთა მორიგეობის განრიგი.

სკოლა მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 31.10.2025-მდე, მანდატურის სამსახურს გადაამზადებინოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, საგნის მასწავლებლები, ძირითადად კი დამრიგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, ასევე თანამშრომლებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დოკუმენტი. გარდა ამისა, ხულოს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის დირექტორის ბრძანებით, სკოლას ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში ინფორმაცია დაცულია ელექტრობულ ჟურნალში, რომლის წარმოებზე პასუხისმგემელია თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. ასევე მნიშვნელოვანი მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი სკოლის მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი სკოლის მიმართვა

- სკოლის წერილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით.
- სკოლის რეგულაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლა მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში, მიწის ფართობია 1142 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობის - 1127 კვ.მ. მიწისა და შენობების მესაკუთრეა ხულოს მუნიციპალიტეტი, ხოლო მოსარგებლე - სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა. სკოლის შენობა შედგება 4 სართულისგან და გვერდიდან მოშენებული სპორტული დარბაზისგან.

შენობაში სულ 13 საკლასო ოთახია, 1 კომპიუტერული ლაბორატორია, ოთახი საბუნებისმეტყველო საგნებისათვის, ბიბლიოთეკა, დირექტორისა და ბუღალტრის ოთახები, სამასწავლებლო, საკონფერენციო დარბაზი. სკოლას შეძენილი აქვს

1276 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას აქვს დიდი სპორტული დარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით, კალათბურთის კარებებით და ფრენბურთის ბადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ უნდა განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მოსწავლეებისთვის სკოლის შენობაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დიდი და ფართე დერეფნები, დიდი ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორით, სპორტული დარბაზითა და მოედნით სარგებბლოს საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია თაროები წიგნებით, მაგიდები. სკამები. **<u>ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ბიბლითეკის საინვენტარო წიგნი, ასევე ბიბლიოთეკაში წიგნების ნაწილი დამუშავებული არ იყო საბიბლიოთეკო პრინციპით.</u>** ფინანსურად სკოლას აქვს 5500 წიგნი. ბიბლიოთეკართან ინტერვიუთი ჩანს, რომ სკოლას გასცემს მოსწავლეებზე სახელმძღვანელოებს, წლის ბოლოს კი იბარებს. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკა მუშაობს 9 საათიდან 5 საათამდე.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.12.2025-მდე, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი დაამუშაოს საბიბლიოთეკო პრინციპით; შექმნას საინვენტარო წიგნი.</u>

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინკლუზიური ინფრასტრუქტურა: 4-სართულიანი შენობის შესასვლელში არის პანდუსი, თუმცა იგი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ასევე პირველიდან მეორე- მეოთხე სართულებზე ასასვლელად არ არის პანდუსები. სკოლის დირექციის განცხადებით, დაგეგმილია ლიფტის მოწყობა. სკოლის შენობაში პირველ სართულზე ადაპტირებული სველი წერტილია.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2027-მდე, სკოლაში შესასვლელი პანდუსი მოაწყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და ასევე უზრუნველყოს შენობის სართულებს შორის გადაადგილება შშმ პირთათვის. **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, დიდი და ფართე დერეფნები ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. შენობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობის ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია
- ბიბლიოთეკის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

1. სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია კომპიუტერული კლასი 9 ლეპტოპითა და 5 პერსონალური კომპიუტერით. გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის ოთახებში, ბიბლიოეკაში. სულ სკოლას შეძენილი აქვს 25 კომპიუტერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესისა და გაკვეთილების შემდეგ, მასწვლებლებს აქვთ თავიანთი კომპიუტერები, რომლებითაც სარგებლობენ სამასწავლებლოში. კომპიუტერულ კლასში გამოკრულია მოქცევის წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ფინანსური დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლის მიხედვით საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი,

სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: https://skolebi.emis.ge/schools/ სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ფეისბუკზე საკუთარი გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალურ ქსელებში დახურული ჯგუფები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორამციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
https://skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ფინანსები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დირექციის წევრებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი დგება კათედრების ინიციატივებისა და წინადადებების საფუძველზე, სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნა წარედგინება დირექტორს. ასევე ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას შესყიდვის გეგმის საფუძვლზე. შემდგომ მიმდინარეობს ბაზრის კვლევა. დირექტორის მიერ შედგენილი ბიუჯეტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოხსენება ფინანსური ანგარიშის შესახებ, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებპორტალზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ფინანსური ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები თავისი მკაფიო, ნათელი ფორმულირებებით ითვალისწინებს ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლების გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის რწმენის თავისუფლების უპირატესობას. განსაზღვრავს მათი რეგულირების წესებსა და პირობებს, როგორც მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესებსა და პირობებს, ისე კონფლიქტის რეგულირების, მოსწავლის უკუკავშირისა და სხვა მიმდინარე პროცესების რეგულაციებს. სკოლის მისია და ხედვა პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვაშიც გათვალისწინებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მასწავლებლების პროფესიული განვითარების პირობები. შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებაა უფლებების ცოდნისა და დაცვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას.საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლა შეიმუშავებს ,,ბავშვთა უფლებების კოდექსის“ მიხედვით გასაჩივრების

დეტალურ პროცედურებს. სკოლაში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. ჩარიცხვის ეტაპზე ხდება მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობითგათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულება არის განახლებული. ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია საშუალო საფეხურის დასრულებამდე პერიოდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის;

ხელშეკრულება სახელმძღვანელოებზე;

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;

შინაგანაწესი;

მშობელთა კრების ოქმები;

სადამრიგებლო ოქმი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა

მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. პირველკლასელთა ადრეული რეგისტრაციის პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა მოხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე (სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე).**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადები დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. მოსწავლეები სკოლაში ირიცხებიან ასაკის შესაბამისად მობილობის ვადების დაცვით, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. საფეხურის დაძლევის საკითხი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და ფორმდება დირექტორის ბრძანებით. სტატუსის შეჩერება-შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით, ასევე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების და პროგრამების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლაში არ ფუნქციონირებს ფასიანი წრეები და არ ფიქსირდება სკოლის კლუბები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს და ვებ-გვერდს. დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ. საინფორმაციო დაფებსა და სოციალურ ქსელში გავრცელებული

ინფორმაცია აღწერს მომსახურების პირობებს. ექსპერტების მიერ ნანახი ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე ,განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან:
- დამრიგებლის პროგრამა;
- მოსწავლეთ კლასში ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლეთა კლასიდან ამორიცხვის ბრძანება;
- მოსწავლეთა საშუალო საფეხურის დაძლევა;
- ბრძანება და დანართი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის შემდეგი პოლიტიკა: მშობლის კონსულტირება და კლასში მოსწავლის წარდგენის რიტუალი.

კლასის დამრიგებელი სწავლის დაწყებისას მოსწავლეს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, სასკოლო საზოგადოებას, შინაგანაწესით განსაზღვრულ წესებს. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია თემები მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე. სკოლა პირველკლასელი მოსწავლეების ადაპტაციისთვის ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას: ბაღის მასწავლებელთან ერთად ხორციელდება ვიზიტი სკოლაში და გარემოს გაცნობა. იქიდან გამომდინარე რომ სოფელში ერთი ბაღია მომავალი კლასელები ერთმანეთს უკვე იცნობენ. ასევე სკოლის პირველ დღეს ხდება კლასში საზეიმო მიღება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. მოსწავლეებს სკოლაში ხვდებათ მათი ასაკის გათვალისწინებით მოწყობილი საკლასო გარემო, ადაპტირებული ავეჯი, სკოლა აქტიურადაა ჩართული მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მოსწავლე მხარდაჭერას იღებს მასწავლებლისგან განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, რისთვისაც სკოლის რეგულაციებში განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). განსაზღვრულია პირველკლასელთა ფიზიკურ გარემოში ადაპტაციის პოლიტიკაც - ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, ეცნობიან შიდა რეგულაციებს, არსებული რესურსებით სარგებლობის წესებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები სისტემატურად უწევენ მონიტორინგს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია მასწავლებლისგან. მასწავლებლები ქმნიან ხელნაკეთ რესურსებს და სთავაზობენ მრავალფეროვან აქტივობებს, საჭიროების მიხედვით მხარდაჭერას უწევენ მოსწავლეებს და სთავაზობენ სტრატეგიებს მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში. მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ერთ-ერთ გზად თვითმმართველობას იყენებენ. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზების მხარდაჭერას. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას (შემაჯამებელი დავალების აღდგენის

წესი, სემესტრული ქულის ამაღლების წესი, გაცდენების ზღვრული რაოდენობა, საშემოდგომო გამოცდები და ა.შ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა, შემლებისდაგვარად, ჩაბმულია არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში.მაგ. სპორტის პედაგოგების ინიციატივითა და ხელშეწყობით მონაწილეობას იღებენ სპორტულ აქტივობებში (სასკოლო და სარაიონო შეჯიბრი მკლავჭიდში). სკოლაში ამ ეტაპისთვის არ ფუნქციონირებს წრეები და კლუბები. ტარდება სადღესასწაულო სასკოლო ღონისძიებები, ასევე სასწავლო წლის განმავლობაში იგეგმება ლაშქრობები და ექსკურსიები, რომლებიც არის როგორც შემეცნებითი ასევე გასართობი და მოსწავლეებისთვის სახალისო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის დირექტორთან გასაუბრებითა და თვითმმართველობის მასალების გაცნობით დგინდება, რომ სკოლის მმართველი რგოლი თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. მათგან უკუკავშირის მიღება ხდება შეხვედრების ფორმატში. სკოლის მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა სურვილები და ინტერესები. სადამრიგებლო საათების ფარგლებში ხდება მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- დამრიგებლის ღონისძიებები;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიების გაცნობა. სკოლა გეგმავს მემორანდუმის გაფორმებას და თანამშრომლობას მუნიციპალიტეტში არსებულ კოლეჯთან “ახალი ტალღა”. ბავშვები

ადგილზე გაეცნობიან კონკრეტულ პროფესიულ საქმიანობებს და მიიღებენ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს კურსდამთავრებულ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები. სკოლის კურსდამთავრებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი სწავლობს სახელმწიფო უნივერსიტეტებში გრანტებით, ამიტომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურსდამთავრებულების მოპატიჟებას, თავიანთი გამოცდილების გაზიარებას საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, რაც გაზრდის მოსწავლის მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სადამრიგებლო პროგრამა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და შესაბამისად არ აქვს შემუშავებული მათთან მუშაობის მექანიზმი, თუმცა პედაგოგებთან და დირექტორთან გასაუბრებისას გამოჩნდა მაღალი მზაობა სამომავლოდ ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მუშაობის მექანიზმების შემუშავებისა და სრულყოფილი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის. ამ ეტაპზე

სკოლას არ აქვს რესურსოთახი მოწყობილი, თუმცა აქვს საკლასო ოთახების საკმარისი რაოდენობა და განლაგება, სადაც შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ ერთ-ერთ საკლასო ოთახში უნდა მოაწყოს რესურსოთახი.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და შესაბამისად არ აქვს შემუშავებული მათთან მუშაობის მექანიზმი, თუმცა პედაგოგებთან და დირექტორთან გასაუბრებისას გამოცნდა მაღალი მზაობა სამომავლოდ ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მუშაობის მექანიზმების შემუშავებისა და სრულყოფილი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის. ამის საფუძველს იძლევა სასკოლო საზოგადოების გუნდურობა, ურთიერთთანამშრომლობა და განვითარებისთვის ერთმანეთის მხარდაჭერის არსებობა სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მასწავლებლებთან გასაუბრება;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას აქვს ტრანსპორტირების სერვისი, რომელიც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან უფლების მიღების საფუძველზე. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას დაცულია უსაფრთხოება. სკოლაში გამოყოფილია ადამიანი,

რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, წაყვანასა და მოყვანაზე, აღრიცხვაზე. სკოლას არ აქვს გახანგრძლივებული სწავლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის დამატებითი მომსახურება, შორს მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების სერვისი, არის ნებაყოფლობითი და ეს სერვისი ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ითვალისწინებს უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვას, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. სკოლას ასევე ჰყავს ტრანსპორტირებისას მოსწავლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების ტაბელის ფორმა;
- ხელშეკრულება სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურებაზე;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლამ დოკუმენტურად წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის დროს აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ყველა კათედრის წარმომადგენელი, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას, კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომპლექსურ დავალებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას. მშობელთა ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით (ფეისბუქჩატი) და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების განაცხადი;
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	• დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლას გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ წარმოუდგენია „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმები. თუმცა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ეს საგნები ისწავლება. • წარმოდგენილია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; • სამიზნე ცნებები, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი ორიენტირია, თანმიმდევრულად მუშავდება თემებში. შუალედური მიზნები შესაბამისობაშია სასწავლო შინაარსებთან; • ჩანს, რომ მასწავლებლები შემოქმედებითი ტიპის დავალების შესრულებაში პრიორიტეტს ძირითადად კომპლექსურ დავალებას ანიჭებენ; **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმები.** **ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	უცხო ენის კათედრას კურიკულუმები შედგენილი აქვს მოსწავლეთა გასული წლის, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, კომპლექსური დავალებების შედეგების, კვლევების საფუძველზე, რაც ეხმარება მათ სწორად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. კურიკულუმში გათვალისწინებულია სიღრმისეული სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში) ზოგადად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. ისინი ითვალისწინებენ შემოქმედებითი და აქტიური სწავლისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, ასევე ისეთი სასწავლო აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესების, უნარების და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. კურიკულუმებში იკვეთება

	შემოქმედებითი პროცესის წახალისება, თანამშრომლობითი სწავლის ელემენტები და თემატური მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას, **ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში (დაწყებით და საბაზო საფეხურზე) წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემა, რაც ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში (საბაზო საფეხურზე) წარდგენილი კურიკულუმი არ შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ:** **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაწყებით/საბაზო. საშუალო საფეხურებზე წარმოადგინოს ყველა თემა, რადგან წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას.** **ბ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში წარდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.** **გ) წარმოადგინოს X და XI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმი საჭიროებს დახვეწას და კიდევ უფრო მეტად მორგებას მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გამოცდილება და მზაობა რომელიც არის მყარი არგუმენტი იმისთვის, რომ სკოლას ნამდვილად შეუძლია ამ მიმართულებით უკეთესი, უფრო დახვეწილი და მოსწავლეთა განვითარებაზე მეტად ორიენტირებული კურიკულუმი შექმნას.

	რჩევა-სასურველია, სკოლამ დაადგინოს და შეისწავლოს მოსწავლეთა საჭიროებები, მათი მზაობა, ინტერესები და ამის შემდეგ, სწორედ ამ შედეგების მიხედვით დაგეგმოს ახალი კურიკულუმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ეს დეტალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისათვის. დოკუმენტი სტრუქტურულად მეტწილად გამართულია და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, გარდა მე-2 კლასის კურიკულუმისა. მათემატიკის კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის კონსტრუირება. ვიზიტის დროს დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების კურიკულუმების გადახედვისას გამოვლინდა რამდენიმე ***ხარვეზი:*** კერძოდ, 1-ელი კლასის კურიკულუმში არ არის მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, მე-2 კლასის კურიკულუმი არ არის სტრუქტურულად გამართული.იგი არ შეიცავს ყველა საჭირო და აუცილებელ კომპონენტს. დოკუმენტში მითითებულია საკითხთა ჩამონათვალი და რამდენიმე შემოქმედებითი დავალების დასახელება. გრაფაში ,,სამიზნე ცნებები“ მითითებულია თემები, არ არის მითითებული რესურსები, სამიზნე ცნებები, მე-3 კლასის კურიკულუმში არ არის ასახული ელექტრონული რესურსები. საკითხთა ჩამონათვალი მითითებულია გრაფაში ,,კონტექსტ-მაგალითები“ და პირიქით, კონტექსტ მაგალითები მითითებულია გრაფაში ,,საკითხი“ მე-4 კლასის კურიკულუმში კონტექსტ მაგალითების გრაფაში მითითებულია საკითხების ჩამონათვალი, ხოლო გრაფაში ,,დავალების იდეა“ კი კონტექსტ მაგალითები.

	<u>რჩევა:</u> სასურველია, სამომავლოდ დაწყებითების კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიან ფორმაზე და მასში შეიტანოს ყველა აუცილებელი და საჭირო კომპონენტი, დააზუსტოს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, ასევე, აქცენტი გააკეთოს ელექტრონული რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე. ამასთანავე, კურიკულუმის შესაბამის სვეტში სწორად აისახოს სასწავლო ერთეულის (თემა, ცნება, საკითხი, დავალების იდეა და სხვა) აღწერილობა. **<u>ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი:</u>** დაწყებითი კლასების კათედრის მიერ წარმოდგენილი I-IV კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმებილ კერძოდ: I-IV კლასების კურიკულუმები უზრუნველყოფდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ - ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სამომავლოდ სასურველი იქნება, მეტი თემა იყოს ინდივიდუალური სპორტის სახეობის მიმართულებითაც. სასურველია კურიკულუმში გრაფები გაწერილი იყოს თანმიმდევრობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
კომპიუტერული ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილია მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩო, პირველ ეტაპზე წარმოდგენილ ჩარჩოებში გათვალისწინებული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და წარმოდგენილი ჰქონდა ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნება და საკითხები, რისი დაფარვაცაა აუცილებელი საფეხურის ფარგლებში, ასევე მითითებული იყო დავალების იდეა და კონტექსტ მაგალითები ყველა კლასისათვის, თუმცა არ ჰქონდა მითითებული რესურსები

	არცერთ კურიკულუმში, გარდა მე-6 კლასისა თუმცა ამ კლასში კურიკულუმის ჩარჩოს წყობა იყო შებრუნებული და არ ჰქონდა მითითებული ქვეცნებები. მე-3 კლასში არ ჰქონდა განსაზღვრული ცნებები (ალგორითმი) პროგრამული კოდი და ინფორმაცია, ასევე მეოთხე კლასში ალგორითმი და ინტერნეტი, ხოლო მე-5 კლასში არ ჰქონდა ინფორმაცია და პირობითი ნიშნები, თუმცა საფეხურის ფარგლებში ამ ცნებებს სხვა კლასებში ფარავს. შემოქმედებითი ტიპის დავალება ჰქონდა ექსელზე წარმოდგენილი, თუმცა და კურიკულუმში საკითხი ექსელზე არსად არ ჰქონდა მითითებული. ინტერვიუს შემდგომ სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმების ახალი ჩარჩოები, სადაც ყველა ჩარჩოს წყობა ერთნაირია, მაგრამ ამ ჩარჩოებში ამოღებულია სამიზნე ცნებები და მათ ნაცვლად ჩასმულია თემები, ზოგ შემთხვევაში თემები და საკითხები არეულია ერთმანეთშიც. გათვალისწინებულია რესურსები, თუმცა ეს რესურსები ძირითადად აპლიკაციების და ინვენტარის ჩამონათვალია. ინტერვიუს შედმგომ გამოიკვეთა რომ სკოლა იყენებს ინტერაქტიული რესურსებს, რომელიც რეკომენდებულია სამინისტროს მიერ და შემოთავაზებულია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის, კერძოდ school.emis.ge-ს სახით, ასევე ეს რესურსი ახლად წარმოდგენილ ჩარჩოებში იკვეთება ზოგიერთ საკითხთან მიმართებაშიც. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს რეკომენდაცია და კურიკულუმის ჩარჩოები დატოვოს იმ სახით, სადაც გამოკვეთილი იქნება მიმართულება, ცნება/ქვეცნება, თემა/საკითხები, დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი და ბოლოს გრაფა სადაც ჩაამატებს რესურსებს, მათ შორის ზემოთ ნახსენებ school.emis.ge-საც და ასევე დაამატებს საკითხებს, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და ქვეცნებების სრულყოფილად დაფარვას. წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. დამატებითი დოკუმენტაციით წარმოდგენილია დიფერენცირებული დავალების ნიმუში, რაც განსაზღვრავს, რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სააგნობრივი კურიკულუმები ძირითადად წარმოდგენილია სტრუქტურირებული ფორმით. ჩარჩო მოიცავს ყველა ერთეულს. შუალედურ სასწავლო მიზნებად მითითებულია სხვა და სხვა ფორმატის შემოქმედებითი დავალებები, რაც იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეზე ორიენტირებულად დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. თუმცა გამოიკვეთა კონკრეტული საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც არასტრუქტურირებულია და არ მოიცავს ყველა კომპონენტს. **რჩევა:** კურიკულუმის უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბების მიზნით სასურველია კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინის ერთიან ფორმაზე. თითოეული საგნის კურიკულუმში დაზუსტდეს სასწავლო ერთეულების (თემა, ცნება/ქვეცნება, საკითხი/ქვესაკითხი, დავალების იდეა (კომპლექსური დავალება თუ სხვა შემოქმედებითი პროდუქტი,) კონტექსტ-მაგალითები და რესურსები) შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასურველია, **დაწყებითი საფეხურის კურიკულებში (ბუნებისმეტყველება)** I- V I ჩათვლით მეტი ყურადღება მიექცეს, იფარება თუ არა ყველა სამიზნე ცნება; ასევე კურიკულუმით შემოთავაზებული შუალედური მიზანისა თუ კომპლექსური დავალების პირობა მკაფიოდ ითვალისწინებს თუ არა გრძელვადიანი მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	• ვიზიტის დროს სკოლამ არ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები. • სკოლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მნიშვნელოვანია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი, სამიზნე ცნებების საშუალებით;

	წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები. ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად (საფეხურის მიხედვით). **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ:** **საზოგადოებრივი მეცნიერებებში წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები;** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. სამიზნე ცნებები, შედეგები და თემები თანმიმდევრულად არის გათვალისწინებული და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის სტრუქტურულ დაგეგმვას. **ხარვეზი:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში (დაწყებით და საბაზო საფეხურებზე) წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემა, რაც ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ხოლო IX კლასში (საბაზო საფეხური) წარმოდგენილი კურიკულუმი სხვა სახელმძღვანელოს ეყრდნობა, ვიდრე ის, რასაც სკოლა რეალურად იყენებს. ეს არღვევს ეროვნული გეგმის პრინციპზე დაფუძნებული დაგეგმვის საფუძველს.

	საშუალო საფეხურზე - X და XI კლასების შემთხვევაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც გრძელვადიანი მიზნების მიმართების სრულ არქონაზე მიუთითებს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ:** **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაწყებით და საბაზო საფეხურებზე წარმოადგინოს ყველა თემა, რადგან წარმოდგენილი ორი თემა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სემესტრის მასალას ფარავს. ეს ხელს უშლის სასწავლო წლის სრულფასოვნად დაგეგმვას და ზღუდავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას.** **ბ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, რადგან ირღვევა ეროვნული გეგმის პრინციპზე დაფუძნებული დაგეგმვის საფუძველი.** **გ) წარმოადგინოს X კლასის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, რათა შესაძლებელი გახდეს გრძელვადიანი მიზნების დადგენა.** **დ) წარმოადგინოს X და XI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები, რათა დადგინდეს გრძელვადიანი მიზნები.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ყველა კლასის კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ გათვალისწინებულ იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები.სკოლას აქვს შედარებით მცირე გამოცდილება კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, მათ სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა ამ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პედაგოგებს აქვთ ძალიან მაღალი მზაობა და მოტივაცია პროფესიული განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	შექმნილი კურიკულუმები, გარდა 1-ელი და მე-2 კლასისა, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული

	გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემქომედებითობა სჭირდება. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლეთათვის საგანთა შორის კავშირების მნიშვნელობა და ამ კავშირების გასაძლიერებლად ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს (ინტერვიუზე აღინიშნა, რომ ჩატარებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკა- რუსული, თუმცა აღნიშნულს კათედრა დოკუმენტით ვერ ადასტურებს) **რჩევა: მაღალი სააზროვნო, ასევე სხვადასხვა ფუნქციური უნარების გასავითარებლად, საასურველია კათედრამ სამივე საფეხურზე განახორციელოს პროექტები.** **ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი: ინდიკატორი 2.1.2.1-ში აღწერილი გარემოებების გამო, I-IV კლასების კურიკულუმები არ მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს, ამიტომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე. სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ:** **მათემატიკაში I-IV კლასების კურიკულუმები მიემართებოდეს ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
კომპიუტერული ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და

	მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, იძლევა მოსწავლის სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და სწავლის შედეგების/კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, ასახულია ყველა ის საგანმანთლებლო რესურსი (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები), რომლის საშუალებით ხდება კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალების შესრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები.** • სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, ასახულია ყველა ის საგანმანთლებლო რესურსი (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები), რომლის საშუალებით ხდება კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალების შესრულება.

	• კურიკულუმში წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოს რესურსები თანხვედრაშია. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში .** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** უმჯობესია რესურსები იყოს მრავალფეროვანი და შეესაბამებოდეს დიფერენცირებულ მიდგომებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმებში სრულად არის გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსები. წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი რესურსები, რომლებიც თემატურად უკავშირდება სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს. გამოყენებულია ვიზუალური, ხმოვანი, ციფრული და პრაქტიკული რესურსების ფართო სპექტრი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სწავლის პროცესის მრავალფეროვნებას და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმწიფო ენის კათედრასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რომლიტაც მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას შესასრულონ კურიკულუმით გათვალისწინებული დავალებები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა როგორც ტექნიკური, ისე მატერიალური რესურსის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მათემატიკის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს- გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც. ელექტრონული სახელმძღვანელო-მათემატიკური წიგნიერება. ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში. ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განსაზღვრულია გარკვეული რესურსები, თუმცა ეს რესურსები მხოლოდ პროგრამების და ინვენტარის ჩამონათვალია, სასურველია თუნდაც იმ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის მითითება, იგულისხმება https://school.emis.ge/ რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები, განსაკუთრებით კი ციფრული რესურსების აქტიური ინტეგრაცია, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. ისინი ხელს უწყობენ როგორც დეკლარატიული, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის დაუფლებას, ასევე კრიტიკული აზროვნებისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებას.

	ინტერვიურებისას პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს საკუთარი ხელით შექმნილ რესურსებზე, რომლებიც განთავსებული ჰქონდათ საკლასო ოთახებში. **რჩევა:** სასურველია, შემდგომში საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობისას რესურსების ველში აისახოს ყველა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კონკრეტული თემის ფარგლებში საკითხებთან, დავალებების იდეასთან და სასწავლო შედეგებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კარგად იაზრებენ, როგორი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კონკრეტულ საჭიროებებთან და მზაობასთან ერთად კარგად მისადაგებული სასწავლო სტრატეგიების შერჩევა. მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების, მათი საჭიროებებისა და მზაობის დადგენის შემდეგ, მასწავლებლები ახდენენ შინაარსის, პროცესის ან პროდუქტის დიფერენცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარამოდგენილი დოკუმენტი სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025. დოკუმენტში გაწერილია ინკლუზიური განათლების ზოგადი პროცესი, ინდგეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, შინსწავლება, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. (არა აქვს წამოდგენილი რემედიაციის პროგრამა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლები კარგად იაზრებენ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კონკრეტულ საჭიროებებთან და მზაობასთან ერთად კარგად მისადაგებული სასწავლო სტრატეგიების შერჩევა. მას შემდეგ რაც დგინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები,

	საჭიროებები და მზაობა, ისინი ახდენენ შინაარსის, პროცესის ან პროდუქტის დიფერენცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში არ არის გაწერილი დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლების ელემენტები. დოკუმენტში არ ჩანს კონკრეტული მეთოდური მიდგომები, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. **რჩევა:** მიზანშეწონილია კურიკულუმში ზოგად დონეზე მაინც აისახოს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. ეს გაზრდის დოკუმენტის შესაბამისობას ეროვნული გეგმის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს წინასწარ მზაობას სხვა საჭიროებების შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით დოოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა დიფერენცირებული მიდგომის და მოსწავლეთა მხარდაჭერის არაერთი მაგალითი, სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, დავალება შეასრულონ იმ ფორმით, რა ფორმითაც მათთვისაა მისაღები. პედაგოგები სახელმწიფო ენის სწავლებისას მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებას და მისი შესრულების რამდენიმე ფორმას. არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	საგანში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე. მასწავლებელებმა გამოთქვეს მზაობა, თუ ეყოლებათ სსსმ მოსაწავლე, აუცილებლად ექნებათამ მოსწავლეზე შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ არ წარმოუდგენია სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. თუმცა სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციით წარმოადგინა აქვს დიფერენცირებული დავალების ნიმუში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მზაობა, ინტერესები და მოტივაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული მიდგომებით სწავლების მნიშვნელობა. აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის სწავლის სტილს, მზაობასა და შესაძლებლობებს. თუმცა პროცესის ინკლუზიურობას აქვს ეპიზოდური ხასიათი. **რჩევა:** სასურველია, სასწავლო პროცესში მეტად დაინერგოს დიფერენცირებული მიდგომები. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის, აქტივობების ადაპტირება მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**რჩევა: სასურველია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში** შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, მიემართება შეფასება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე სკოლამ აქტური მუშაობა უნდა გააგრძელოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ:** **დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ გადამოგზავნილი იყო მხოლოდ ერთი IV კლასის განმავითარებელი შეფასების დოკუმენტი, რომელშიც სამიზნე ცნებების, მკვიდრი წამოდგენების მიხედვით გაწერილი აქვთ შედეგები. როდესაც სკოლას არა აქვს კურიკულუმები და მხოლოდ ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა აქვს გადმოგზავნილი, რთულია იმის მტკიცება დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებშიც სამიზნე ცნებების, მკვიდრი წამოდგენების მიხედვით გაწერილი იქნება შედეგები.** გადმოგზავნილი საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ესგ-თან. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციასა და მათთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ კათედრაზე დანერგილია მოსწავლეთა შეფასების ახალი მოდელი, რომლის თანახმად სავალდებულოდ განისაზღვრა შეფასების ორი ფორმა – განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები აღწერენ თითოეული მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გავლილ საგანმანათლებლო პროცესს, ახასიათებენ მის სუსტ

	და ძლიერ მხარეებს, ასაბუთებენ, რისი გაგება/გააზრება გაუჭირდა მოსწავლეს და რატომ, ახალისებენ მოსწავლის ძლიერ მხარეებს და აძლევენ რეკომენდაციებს სასურველი შედეგის მისაღწევად. მასწავლებლები, ასევე, ადგენენ მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებელ ღონისძიებებს, აქტივობებს და ა.შ. შემუშავებული განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს მომდევნო სასწავლო წელს ეფექტიანი საგაკვეთილო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ თითოეული მოსწავლისთვის. შეფასების დოკუმენტს მასწავლებლები მოსწავლის მშობელს აცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, მათთან ინდივიდუალურად განიხილავენ. განმავითარებელი შეფასების პროცესში ფასდება მოსწავლის როგორც საკლასო ოთახში მიღებული გამოცდილება, ისე დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა, მასალა, სასკოლო აქტივობები, განხორციელებული პროექტები და სხვა. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად პრინციპებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების რეგულარულ ფიქსირებას. გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები. შეფასების პროცესი უპირატესად ორიენტირებულია მიღწევებზე და სწავლის პროგრესის აღრიცხვაზე. თუმცა შეფასების კომპონენტებს ზოგ შემთხვევაში აკლია კონკრეტულ დავალებებთან მკაფიო კავშირი და რუბრიკების სიზუსტე. მიუხედავად ამისა, არსებული სისტემა ქმნის საფუძველს სამართლიანი და სანდო შეფასებისთვის და არ ითვლება დასახარვეზებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა, სკოლას აქვს შეფასების სისტემის გაზიარების პრაქტიკა და მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ დავალების

	პირობის გაცნობისას. მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული, როგორ შეფასდება მისი ნაშრომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრა იყენებს სამკომპონენტიან შეფასებას. მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები სამივე საფეხურისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის ფორმებიც (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში). **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შექმნას სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჩართულობით (წყვილებში მუშაობის, პრეზენტაციის, დამოუკიდებელი მუშაობის და სხვა). შექმნას სასწავლო პროვესში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, მეტი ინტენსივობით გამოიყენოს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის შეფასების რუბრიკები, რომელის შეესაბამება ეროვნილი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. **რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს კურიკულუმში გაწერილი თითოეული თემიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
კომპიუტერული ტექნოლოგიები	სკოლას დამატებითი დოკუმენტაციით წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. ასევე წარმოდგენილი აქვს კონკრეტული დავალებების შეფასების რუბრიკებიც. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც

	გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ, უკავშირდება სამიზნე ცნებებს, უნარებსა და სასწავლო შედეგებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ სწავლის შედეგების მიღწევა იზომება კონკრეტული აქტივობის მეშვეობით და აჩვენებს განვითარების დინამიკას. **რჩევა:** სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უწყვეტი მართვის მიზნით სასურველია მომზადდეს სასწავლო შედეგზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ესთეტიკის კათედრის ოქმი;
- მოსწავლის ნამუშევარი (პრეზენტაცია/ პროექტული სწავლება)
- შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი/განმავითარებელი);
- მოსწავლეების ნამუშევრები.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შემაჯამებელ დავალებათა ნიმუშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 წ
- შემოქმედებითი დავალების ნიმუში;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტეგრირებული პროექტის ნიმუში;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ 2025-2026 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანაცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი

	პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი:** სკოლამ არ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები** საბაზო და საშუალო საფეხურის წამოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. შეხვედრის დროს ჩანდა, რომ სკოლაში პოზიტიური გარემოა შექმნილი. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები თავიანთ სამუშაო პროცესში იყენებენ სწავლების ჰოლისტურ მიდგომას. თითოეული საგნის კურიკულუმს აგებენ მოსწავლეთა აქტუალური დონის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესს აგებენ კონსრუქტივისტული და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები. კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა გააკეთონ არჩევანი, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგია და ამ მიმართულებით სკოლა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რისთვისაც შეიმუშავებენ მექანიზმებს. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებში, სასკოლო პროექტებში. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად სკოლა უკეთესად დახვეწს საგნობრივ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესს დაგეგმავს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასებები, რომელიც ორიენტირებული იქნება

	მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის მიხედვით და შეესაბამება სკოლაში არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. **ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზიები:** **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არ აისახება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემატური ერთეულები.** **ბ) IX კლასის კურიკულუმი არ შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს.** **გ) X და XI კლასებში, პროექტული სწავლების ფარგლებში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რის გამოც სწავლის პროცესის დაგეგმვა ამ კლასებისთვის სრულად ვერ ხორციელდება.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ:** **ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემატური ერთეულები.** **ბ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში წარდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.** **გ) X და XI კლასებში, პროექტული სწავლების ფარგლებში, წარმოადგინოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები, რათა სწავლის პროცესის დაგეგმვა ამ კლასებისთვის სრულყოფილად განხორციელდეს.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა არის მცირედი ცვლილებები, რომელსაც შემდეგ ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი ფორმით.

	რჩევა: სასურველია, სკოლის პედაგოგებმა გაიარონ შესაბამისი ტრენინგები, რომ შეძლონ კურიკულუმის ფორმის და შინაარსის თვალსაზრისით უკეთ ჩამოყალიბება. გაეცნონ სიახლეებს, რომელიც ამ მიმართულებით ხორციელდება და მუდმივად ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის რეალიზება და განხორციელება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის აქტიური, შემოქმედი და კრიტიკულად მოაზროვნე, რაც ძირითადად მიიღწევა შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. **რჩევა:** მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, სასურველია კათედრამ განახორციელოს სხვადასხავა პროექტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს

	ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიურებისას მასწავლებელებმა ისაუბრეს კურიკულუმით განხორციელებულ აქტივობებზე, რომლებიც ასევე წარმოდგენილი აქვთ ფოტომასალით. აქვთ მაღალი მზაობა საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულად აქციონ სწავლა-სწავლების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა ოპერატიულად ეხმიანება შემხვედრ საჭიროებებს. ცვლილებები სასწავლო პროცესში ხორციელდება როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის ჩართულობით. პრაქტიკაში შეინიშნება მზაობა რესურსების, მიდგომებისა და აქტივობების მოქნილი ადაპტაციისთვის, მოსწავლეთა ინტერესების და საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. რაიმე კონკრეტული დოკუმენტი მტკიცებულების სახით არ არის წარმოდგენილი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და სკოლაში არსებული ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, სამართლიანი და ობიექტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	• დაწყებით საფეხურზე მხოლოდ ერთი განმავითარებელი შეფასების საფუძველზე რთულია იმის თქმა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; • სკოლას წარმოდგენილი აქვს საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები; • სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის ზოგადი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის ჩამოყალიბება მნიშნელოვანია როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. მათი მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები ნათელი და გასაგებია, ასევე მასწავლებლებმა იციან, რა მექანიზმებით ხდება შეფასება და როგორ გამოიყენონ მისი შედეგები. შეფასებები ასახავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონეს სათანადო მასალის ათვისებაში. ეს ასევე, ეხმარება მათ იმის გადაწყვეტაში, რომ თუ მოსწავლეები ვერ სწავლობენ, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. თუ სწავლობენ, მას შეუძლია გააგრძელოს მუშაობა და განავითაროს და განავრცოს მოსწავლეთა ცოდნა. შეფასების შედეგები, აგრეთვე, მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მშობლებს, ხელს უწყობს მათ, მიიღონ გადაწყვეტილებები სკოლასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ტიპის შეფასება. მოსწავლეთა შედეგების ფიქსირება ხდება რეგულარულად და პროცესი გამჭვირვალეა. შეფასება მიზნობრივად მიმართულია შედეგებზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებად იკვეთება ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინება და კონკრეტულ დავალებებთან მჭიდრო კავშირი. **რჩევა:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები მეტად აისახოს კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებაში, განსაკუთრებით შემოქმედებით დავალებებში. ასევე მიზანშეწონილია,

	სისტემაში გაძლიერდეს ინდივიდუალური პროგრესის დაფიქსირების კომპონენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების სანდოობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	როგორც დოკუმენტებიდან, ისე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს შეფასების სისტემას, რომელიც არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ამ ყველაფრის უზრუნველსაყოფად პედაგოგები მოსწავლლებს დავალებების პირობის გაცნობისთანავე აწვდიან შეფასების კრიტერიუმებსაც და წინასწარ თანხმდებიან იმ ძირითად ფორმაზე, რომლითაც შემდეგში მათ ნაშრომს შეაფასებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს ქმნიან საგნობრივ სტანდარტის ინდიკატორებზე, სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისად გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები და იციან, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებს შეფასების პრინციპებს. ასევე, შეფასების სისტემაზე მუშაობისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის პედაგოგთა გამოცდილებები. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებული რა კრიტერიუმებით ფასდებიან, მათ გააზრებული აქვთ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ - ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე,

	ობიექტური, სამართლიანი. რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია, თუ როგორ აძლევენ თითოეულ მოსწავლეს განმავითარებელ უკუკავშირს, ასევე შეფასების რუბრიკები გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება დაკვირვებად ფაქტებზე და არა პირად ემოციებსა და მოსაზრებებზე. მასწავლებელები ასევე აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა უნდა შეფასდეს, აძლევენ მკაფიო ინსტრუქციას შესასრულებელ დავალებებზე და ცდილობენ შექმნან თანაბარი გარემოს შეფასების პროცესისათვის. **რჩევა:** შეფასების სისტემის სტანდარტიზებისა და სრულყოფისათვის სასურველია მასწავლებლებმა გაიარონ შესაბამისი მომზადების კურსი/ტრენინგი. სასწავლო პროცესი დინამიური გახდება, თუ მასწავლებლები აქტიურად გამოეყენებენ მრავალფეროვან განმავითრებელ ინსტრუმენტებს. (მაგ: ქვიზი, მოსწავლეთა სწავლის მონიტორინგისა და მათთვის განმვითარებელი უკუკავშირის მიწოდების მიზნით; დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე; შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები (ბარათები); ხელის ნიშნები და სხვა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასების პროცესის შიდა მონიტორინგი ხორციელდება სკოლაში ადმინისტრაციისა და საგნობრივი ჯგუფების მონაწილეობით. პერიოდულად მიმდინარეობს შედეგების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი კორექტირება. ვერიფიკაციის მექანიზმები მოქმედებს პრაქტიკის დონეზე და უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას.

რჩევა: სასურველია სკოლამ, ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ ინსტუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას სათანადო წესით. მატერიალური ჟურნალები შენახულია სპეციალურ საცავში. ამჟამად აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. მოსწავლეთა შეფასების შესახებ სემესტრული და წლიური ინფორმაცია დაცულია და გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არის მოსწავლის მიერ კლასის საფეხურის დაძლევა/არდაძლევის ბრძანებები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**რჩევა:** სასურველია, **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის** საგნობრივ კურიკულუმებში სახელმძღვანელოს რესურს დაემატოს სხვა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებიც, რომელსაც გამოიყენებს პედაგოგი სასწავლო პროცესში. სამივე საფეხურზე დაამატონ მრავალფეროვანი ინტერნეტრესურსი, რომელიც მიზნობრივს და საინტერესოს გახდის მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს და უზრუნველყოფს შესაბამისი საგნით დაინტერესებას. ასევე უზრუნველყონ მარტივი საშინაო ექსპერიმენტების განხორციელება; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	

	სასწავლო რესურსებით სარგებლობას ადასტურებს მხოლოდ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შემოქმედებითი ტიპის დავალების შესასრულებლად. შეხვედრის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად ეყრდნობიან გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და ინტერნეტ-რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსებით. კურიკულუმში მითითებული სახელმძღვანელოები შეესაბამება სკოლაში გამოყენებულ მასალებს, ასევე გამოიყენება აუდიო-ვიზუალური, ციფრული და დამატებითი რესურსები, რაც სწავლების პროცესს მრავალფეროვნებას ანიჭებს. **ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში:** შეუსაბამობაა კურიკულუმში მითითებულ რესურსებსა და სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს შორის. IX კლასში კურიკულუმში მითითებული სახელმძღვანელოარ შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ რესურსებს. შესაბამისი ხარვეზი უკვე დეტალურად დაფიქსირებულია ინდიკატორ 2.2.1.1-ში **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 08.09.2025-მდე, სრულყოფილად წარმოადგინოს კურიკულუმები, კერძოდ:** **სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში IX კლასში წარდგენილი კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს სახელმწიფო ენის კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე რესურსებს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმი გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და საკუთარი მიჭრევების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა და საგნობრივ კურიკულუმებშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ, როგორც ძირითად (სახელმძღვანელო), ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობას, ზრდის სწავლების ხარისხს, მოსწავლეებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, აძლიერებს მათ მოტივაციასა და ინტერესს. **რჩევა: დაწყებით კლასებში მეტი სიხშირით გამოიყენონ ელექტრონული რესურსები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ სკოლაში არსებულ ინვენტარს, ასევე კურიკულუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი სახელმძღვანელოებისა და ვიდეო რგოლების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია სასწავლო რესურსები პროგრამული უზრუნველყოფების ჩამონათვალის სახით, თუმცა არ არის არცერთი ბმული რაიმე ელექტრონულ რესურსზე, რომელიც დაადასტურებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას, არ არის მითითებული თუნდაც იმ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ბმული (იგულისხმება https://school.emis.ge/) რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. აღნიშნული რესურსები მოსწავლეებს ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სხვა დამხმარე რესურსებსაც, მათ შორის ინტერნეტს. აღნიშნული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას უზრუნველყოფს სკოლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, სკოლას არა აქვს ინტერნეტ-რესურსის ვალიდურობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.09.2025-მდე, გაწეროს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით, შინაარსობრივი შესაბამისობის და ასაკობრივი მისადაგების პრინციპით. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ შერჩეული და მოწმობილი რესურსები, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზნობრიობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლაში სახელმწიფო ენის კათედრა სწავლა-სწავლების პროცესში სახელმძღვანელოებთან ერთად იყენებს დამხმარე რესურსებს,, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მაგრამ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესის შემუშავებით კიდევ უფრო სისტემატიზირდება რესურსების ბაზა კურიულუმებთან კავშირში. **რჩევა: სასურველია,** სკოლამ შეიმუშაოს, წესი დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას ახდენენ მათემატიკის კათედრის წევრები. ყველა რესურსი, რომელიც გამოყენებულა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად, სრულად შეესაბამება ესგ-ით და საგნის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. რაც შეეხება დაწყებითი კლასების კურიკულუმებში ასახულ რესურსებს- ძირითადი რესურსები,

	სახელმძღვანელოები, რომლებიც კურიკულუმშია მითითებული გრიფირებულია, მაგრამ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას დაწყებითი კლასების კათედრა დოკუმენტით ვერ ადასრურებს. **რჩევა:** სასურველია სკოლამ შექმნას დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ესგ - ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) მითითებული სასწავლო რესურსი განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ, თუმცა იმისათვის, რომ სრულად განხორციელდეს მისი შესაბამისობა სასწავლო მიზნებსა და საგნობრივ სტანდარტებზე, რაც სრულად განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებებს, სასურველია მათში გათვალისწინებული იქნას ისეთი რესურსები რომელიც დაადასტურებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას, არ არის მითითებული თუნდაც იმ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ბმული (იგულისხმება https://school.emis.ge/) რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო შედეგებზე გასასვლელად ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად, იყენებენ დამხმარე სასწავლო რესურსებს. თუმცა დოკუმენტალურად არ ჩანს ვალიდირებულია თუ არა სკოლის მიერ. **რჩევა:** სკოლამ, კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესი/ მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისათვის უზრუნველყოფილი არ არის კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს: **სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების სრულფასოვანი სწავლებისა და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის კაბინეტი სველი წერტილით, გამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდით, ხელსაწყოებით, მულაჟებით, ლაბორატორიულ ჭურჭლით, რეაქტივებით, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 25.08.2026-მდე, საბუნებისმეტყველო საგნების სრულფასოვანი სწავლებისა და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მოაწყოს კაბინეტი სველი წერტილით, გამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდით, შეიძინოს ხელსაწყოები, მულაჟები, ლაბორატორიული ჭურჭელი, რეაქტივები, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატერიალურ რესურსზე წვდომა.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ორგანიზება და რესურსების განაწილება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია სწავლის შედეგების მიღწევისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე სრულად აკმაყოფილებს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი. შესაბამისად, ის უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა სამივე საფეხურზე საგნის სწავლების დროს იყენებს ძირითად და დამხმარე რესურსებს. სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
კომპიუერული ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ: სკოლას სრულად არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი ყველა საგანში. სკოლას ჰყავს ერთი მენტორი მასწავლებელი, სამი წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგებიერთი მენტორი მასწავლებელი, სამი წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები. სკოლას ჰყავს ერთი მოწვეული მასწავლებელი მუსიკაში. მიუხედავად ამისა, არის საგნები, სადაც არ არის შესაბამის საგანში სერტიფიცირებული ადამიანური რესურსი და სწავლება შეთავსებული აქვს სხვა საგნის მასწავლებელს (მაგალითად: ქიმიას, ფიზიკას და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლის ერთი მასწავლებელი, ასევე დაწყებითის მასწავლებელი ასწავლის თითქმის ყველა საგანს და ა.შ). აღნიშნულ პრობლემას სკოლა ხსნის საჭირო კადრის არარსებობით. სკოლა აცხადებს ვაკანსიას, მაგრამ არ არის ფიზიკურად საჭირო კადრი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 01.08.2026-მდე, დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურებზე აიყვანოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, ხოლო დაწყებით საფეხურზე-კომპიუტერულ ტექნოლოგიებშიც. სკოლამ უნდა გააგრძელოს სერტიფიცირებული და საგნობრივად კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან.
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

- სადამრიგებლო პროგრამები
- კათედრის ოქმები სახელმძღვანელოების არჩევასა და ვალიდაციაზე
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი
- პედაგოგიური პერსონალის პირადი საქმე
- გაკვეთილის გეგმები(მათ შორის, ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმებიც)
- პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა მზაობა ახალი სასწავლო წლიდან განახორციელონ მონიტორინგი და შეფასება გაწერილი ვადებისა და წესების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება შესაძლებლობას მისცემს სკოლას დაადგინოს პრობლემა და დასახოს მისი გადაჭრის გზები. ამ ეტაპისთვის სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრების მეთოდით.საგაკვეთილო პროცესზე ხდება დასწრება და დაკვირვება. სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას, სამომავლოდ, განახორციელებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

საგაკვეთილო პროცესში დასწრების საფუძველზე ხდება მასწავლებლების მხარდაჭერა, მათთვის კონკრეტული რჩევების მიცემა და სამომავლო განვითარებისთვის გეგმების დასახვა. თუმცა მონიტორინგი და შეფასება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესს არ მოიცავს, ამიტომ სკოლამ, ინტერვიურების დროს, გამოთქვა მზაობა სამომავლოდ ეს პროცესები განახორციელოს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას არ აქვს ცალკე დოკუმენტი მონიტორინგისა და შეფასების.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- გაკვეთილზე დასწრების ფორმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის შეფასება დაფუძნებულია სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, მასწავლებლები თვალ-ყურს ადევნებენ თითოეული მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესს, ახალი სასწავლო თემის დაწყებამდე ადგენენ მოსწავლის წინარე ცოდნის ხარისხს, აკვირდებიან და ინიშნავენ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ასევე რამდენად ახერხებს გააზრებული და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციური გამოყენება. ყოველი გაკვეთილი იგეგმება ისე, რომ თითოეული მოსწავლისთვის ცნობილია რა კრიტერიუმებით აფასებს მასწავლებელი მის სასწავლო

აქტივობას. მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები იყენებენ ორი ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელსა და განმავითარებელს. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ამ ტიპის შეფასებით ადგენენ მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით კი ადგენენ თითოეული მოსწავლის სწავლის განვითარების დინამიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე რომ სკოლა არის მაღალმთიანი სტატუსის მატარებელი და კლიმატი საკმაოდ მკაცრია, განსაკუთრებით ზამთარში, ოქტომბრის შუარიცხვებიდან მარტის ბოლომდე სულ თოვლია, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა პირობებს სასწავლო პროცესში და მათი დავალებებიც პირობების შესაბამისია. სკოლა ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა მზაობის მოსწაავლის არსებობას სკოლაში და მათ შეფასებას ახორციელებს ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. შესასების რუბრიკები ძალიან მრავალფეროვანი და მოსწავლეთა დავალებებს მორგებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მოწოდებულ დოკუმენტებზე და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების მოწოდებულ დოკუმენტებზე და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების მიზანია მოსწავლეების ძლიერი

და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მოსწავლეს, რაც მისცემს მასწავლებლებს იმის შესაძლებლობას, დააკვირდნენ სწავლა-სწავლების ტენდენციებს, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. შეფასების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის მონაცემი: წერითი და ზეპირი დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები, დაკვირვება და პროექტული აქტივობები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და ჩართულობის კომპლექსურ შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
- შემაჯამებლების ანალიზები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

ასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოება განიხილავს გასული სასწავლო წლის გამოწვევებს, აფასებს არსებული კურიკულუმების ეფექტიანობას, რა განხორციელდა და როგორ, აჯამებს და სახავს მომავალი წლისთვის საჭირო ცვლილებებს. ყოველი მომდევნო წლის კურიკულუმი ემყარება წინარე გამოცდილებას, სადაც გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების (ამ ეტაპისთვის სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მიხედვით) შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 25 აგვისტო, 2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შ. ნიკოლეიშვილი